ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 109

"19" აპრილი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს მდებარე 35047 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.11.17.005.109) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-5 მუხლის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების IV მიკრორაიონში მდებარე 35047 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.11.17.005.109) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 10 აპრილის №19.398.541 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს მდებარე 35047 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.11.17.005.109) გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, (საპრივატიზებო საფასური 1 117 366 (მილიონ ას ჩვიდმეტი ათას სამას სამოდაექვსი) ლარი) ბექა ოდიშარიას (პ/ნ: 01008017236) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ბერძნის ქ. №39-ის მიმდებარედ არსებული 3284 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის (ს/კ: №01.18.04.020.183) და ქ. თბილისში, ბერძნის ქ. №38-ის მიმდებარედ არსებული 196 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.04.009.032) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**